

ზოგიერთი სახის მოსაზრებანი ოპერატიული პრაქტიკის სრულყოფისათვის

*ბუაძე კობა – ასოცირებული პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

Some Opinions How to Make Operative Practice Perfect

*Buadze Koba – Associate Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi,
Georgia*

Abstract

Introduction and aim: The present article analyses the practice of operative work. Namely, some means and methods to fight against crime, operative realization of all necessary measures to solve the case and detain the criminals. It is noted that operative work is limited by nature and its realization is only acceptable in case of having sufficient data, which directly points to the illegal behavior. The article also points out the tasks and functions of achieving the main goals of operative work.

The article focuses on the information acquired as a result of operative work, distribution of necessary information and in the process of work itself.

Research methodology: The article uses analytical research and comparative legal methods.

Results and implications: The article has a scientific and methodological importance.

Conclusion: Some advanced methods of operative work prove that success is achieved when we are well aware of the relations between the person in question and his/her surroundings. This is achieved depending on how close the agent and the object are to each other. This practice is felt at every moment as a result of the analysis of the acquired information. Thus, operative work using agent way is the research of the peculiarity of the relation which exists among criminal individuals and groups.

Keywords: operative work, operative practice, agent method, operative information, operative prophylactic, operative combination, operative investigative activity

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ოპერატიული დამუშავების პრაქტიკა. კერძოდ, ზოგიერთი საშუალება და მეთოდი დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ოპერატიულად განხორციელდეს ყველა საჭირო ღონისძიება დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავეთა დასაკავებლად. მითითებულია, რომ ოპერატიული დამუშავება ატარებს შემოფარგლულ ხასიათს და რომ მისი განხორციელება დაიშვება მხოლოდ საჭირო მონაცემების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც აშკარად მეტყველებენ პირთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებზე. სტატიაში ასევე მითითებულია ოპერატიული დამუშავების ძირითადი მიზნების მიღწევის ამოცანები და ფუნქციები.

ყურადღება არის გამახვილებული ობიექტის ოპერატიული დამუშავებით, საჭირო ინფორმაციის განაწილებასა და თვით დამუშავების პროცესში მიღებულ ინფორმაციებზე.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებული ანალიტიკური კვლევისა და შედარებით სამართლებრივი მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: სტატიას აქვს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური მნიშვნელობა.

დასკვნა: ოპერატიული დამუშავების საქმის წარმოების მოწინავე მეთოდები მოწმობს, რომ წარმატება მიიღწევა მაშინ, როცა კარგად ვიცით საინტერესო პირისა და მისი გარემოს ურთიერთობა. ეს მდგომარეობა მიიღწევა იქედან გამომდინარე, თუ რამდენად მჭიდროა კონტაქტი აგენტსა და დასამუშავებელ ობიექტს შორის. ეს პრაქტიკა ყოველ მომენტში იგრძნობა მიღებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე. მასასადამე,

ოპერატიული დამუშავება აგენტურული გზით, ეს არის გამოკვლევა კავშირების განსაკუთრებულობისა, რომელიც არსებობს დამნაშავე პირთა და ჯგუფთა შორის.

საკვანძო სიტყვები: ოპერატიული დამუშავება, ოპერატიული პრაქტიკა, აგენტურული მეთოდი, ოპერატიული ინფორმაცია, ოპერატიული პროფილაქტიკა, ოპერატიული კომბინაცია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

როგორც ოპერატიული პრაქტიკა მოწმობს – ოპერატიული დამუშავება იძლევა საკმარის შესაძლებლობას კონცენტრირებულად იქნეს გამოყენებული ყველა საშუალება და მეთოდი დამნაშავეობის წინააღმდეგ, საბრძოლველად, საიდუმლოდ განხორციელდეს ყველა საჭირო ღონისძიება დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავეთა დასაკავებლად. ოპერატიული დამუშავების შედეგად, აგრეთვე, გვეძლევა საშუალება შევალწიოთ დამნაშავეთა სამალავებში, დავადგინოთ ფაქტი და გარემოება, დაუყონებლივ ვამხილოთ, მივიღოთ ინფორმაციები, რომელთა გაანალიზებით შესაძლებელია მიზნობრივად გამოვიყენოთ საიდუმლო თანამშრომლები და სრულყოფილი გავხადოთ ოპერატიულ-სამძებრო ტაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ ოპერატიული დამუშავება ატარებს შემოფარგლულ ხასიათს და მისი განხორციელება დაიშვება მხოლოდ საჭირო მონაცემების შემთხვევაში, რომლებიც მეტყველებენ ერთი მხრივ, პირთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, მეორე მხრივ, შესაძლებელი ხდება დანაშაულის აღმოჩენა. ეს უკანასკნელი პირობითად ორი მიმართულებისაგან შედგება: პირველი – არსებობს დანაშაული, მეორე – ჯერ მოუმწიფებელია გარემოება, მიღებული ინფორმაციის რეალიზაციისათვის. მიგვაჩნია, რომ ამ მოთხოვნებიდან უკან დახევა ჩაითვლება ოპერატიული საქმის უსაფუძვლო წარმოებად.

ოპერატიული დამუშავების ძირითადი მიზნის მიღწევა კი ხდება მისი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტით, მის არსში შედის:

- თანამოაზრეთა გამოვლინება, რომლებიც იმსახურებენ ოპერატიულ ინტერესს;
- დადგენა დანაშაულთა ძირითადი ფაქტებისა, რომელთაც დამუშავებაში მყოფი პირები ჩადიან;
- ძირითადი ფაქტებისა და გარემოებების დოკუმენტირება;
- ოპერატიული სამძებრო ღონისძიების გატარების დროს არ იქნეს დაშვებული დანაშაულებრივი ფაქტი;
- შეიქმნას ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ ანაზღაურდეს მატერიალური ზიანი ორგანიზაციების თუ კერძო პირთა მიმართ.

ოპერატიული დამუშავება შემოღებულია იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მიღწეული იქნეს დანაშაულის ძირითადი კვანძების გახსნა, შენიღბულ ქმედებათა გამოვლინება, ყველა თანამონაწილის როლისა და მნიშვნელობის დაზუსტება.

შეიძლება განისაზღვროს ოპერატიული დამუშავების ოთხი ფუნქცია:

- 1) დამუშავების ორგანიზაციული ფუნქცია;

- 2) მიზნობრივი ფუნქცია (დასამუშავებელი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოვლინება ან ასეთი არ დაშვება);
- 3) ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება, რათა ოპერატიულად იქნეს მიღებული ყველა საჭირო ცნობა;
- 4) დანაშაულის თავიდან აცილება.

საგულისხმოა, რომ თვით დამუშავების უშუალო პროცედურის ასახვა-განზოგადებისაგან ობიექტური მიზეზების გამო ამჯერად თავს ვიკავებთ.

ობიექტების ოპერატიული დამუშავებით საჭირო ინფორმაციის მიღება. დასამუშავებელი ობიექტებიდან ინფორმაციები, როგორც წესი, მიიღება ჯერ კიდევ დამუშავების საქმის შექმნამდე.

დასამუშავებელი სფეროს ფარგლებში ოპერატიული დამუშავება მიმდინარეობს ფართო მოცულობით, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდნენ:

- სრულ, მყარ შეტყობინებებს დამნაშავეთა ვინაობისა და მათი საქმიანობის ფორმისა და მიმდინარეობის შესახებ;
- საიდუმლო თანამშრომლების რაციონალურ განაწილებას;
- ინფორმაციის დროულ მიღებას იმ პირთა ქცევის შესახებ, რომელთაც კრიმინალური აქტივობით ხასიათდებიან;
- დანაშაულებრივ კავშირების დადგენა და სრული წარმოდგენა მათ საქმიანობაზე.
- ცალკეული მიკროწრეების დადგენა და მათი ერთიანობის გაშიფვრა;
- ამ წრეებში მიმალულ ძეხნილ დამნაშავეთა აღმოჩენა.

ხშირ შემთხვევაში ოპერატიული პროფილაქტიკის საინფორმაციო შესაძლებლობანი გამოიყენება არა მარტო პროფილაქტიკური, არამედ სხვა ამოცანებისათვისაც დამნაშავეობასთან ბრძოლის დროს. კერძოდ, გამომჟღავნება შენიღბული დანაშაულებისა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაცემული პირებისა, ძეხნილებისა და ა.შ.

ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, რაც შეიძლება გახდეს ოპერატიული დამუშავების ობიექტი და შეიქმნას მასზე ოპერატიული დამუშავების საქმე, პირველ რიგში მიიღწევა კონტიგენტის ღრმა შესწავლით, რომელიც იმყოფება ოპერატიულ-პროფილაქტიკურ დაკვირვებაში. ამ კონტიგენტის შესწავლის, საქმის კარგად მართვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად იოლდება ნებისმიერი სიგნალის შემოწმება, ნებისმიერი პირის დანაშაულებრივი ქმედების ირგვლივ მალდდება მიღებული ინფორმაციის ხარისხი, თანდათან ღრმავდება დამუშავების პირობებიც.

პირთა ასეთი ღრმად შესწავლის გარეშე დიდია ალბათობა შეცდომებისა.

სამეცნიერო კვლევებმა დაგვანახეს, რომ ბევრი საჭირო ფაქტები და დახასიათებები არ მოიპოვება სამძებრო ორგანოების მასალებში, სუსტად ფიქსირდება ობიექტის საინტერესო სახე და თვისებები, მოძრაობა და კავშირები. ვფიქრობთ, ეს იმიტომაც რომ ოპერატიული მუშაკები უფრო ხშირად შემოიფარგლებიან პირთა შეფასებებით მომხდარი სამართალდარღვევის დროს, რაც სრულიად არასაკმარისია, რადგან პირები რომელიც პროფილაქტიკურ

ზედამხედველობაში იყო (განსაკუთრებით რეციდივისტები ე. წ. კანონიერი ქურდები, ლიდერები, „ავტორიტეტები“ სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეებიდან) მარჯვედ ცდილობენ არ მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება, ნიღბავენ თავიანთ კავშირებს, სახეს, მით უფრო ზრახვებს, შეცდომებს და ა. შ. ამასთან ერთად ჯერ კიდევ შემორჩენილია სუბიექტივიზმი მიღებული ფაქტების შეფასებისა და ანალიზის სფეროში, ამას ემატება ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ანალიზი ეყრდნობა არა ობიექტურ წანამძღვრებს, არამედ ინტუიციას.

დაკვირვებას საჭიროებს ისეთი ინფორმაცია, როგორც არის დანაშაულებრივი გამოცდილება გამოვლენილი პიროვნებისა, სად მოიხადეს სასჯელი, გასამართლებულთაგან ვისთან შეინარჩუნა კონტაქტი, ვისთან აქვს ნაცნობობა დამნაშავეთა წრიდან განსაკუთრებით იმ პირებთან, რომლებიც ავტორიტეტებად მოიაზრებიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა ურთიერთშეფასებას, რომლებიც იმსახურებენ ოპერატიულ ინტერესს. საქმე იმაშია, რომ დამნაშავეთა ფორმირების წევრები ღრმად ფარავენ თავიანთ საქმიანობას, ამავე დროს ვიწრო წრეს აცნობენ თავის თავდადებულ ერთგულებას ორგანიზებულ დანაშაულებრივი საქმიანობის მიმართ. ამასთან ისინი მისდევენ და ეძიებენ მთელ რიგ მიზნებს: იპოვნონ თანამზრახველნი (საქმის მიმცემი, პირდაპირი თანამონაწილე, შემსყიდველი, გამსაღებელი და სხვა), ან პირები, რომლებიც გაუწევენ რაიმე დახმარებას ან რომლებიც გააცნობენ დამნაშავეთა წრეს.

ასეთი ინფორმაციის შეკრებისათვის უფრო ხშირად გამოიყენება ბუნებრივად წარმოშობილი პირობები, ურთიერთობის ჩვეული, ნაცადი ფორმა, სადაც მოქმედებს აგენტი. მისი დამხარებით რეგულირდება ურთიერთობის ფორმები, იქმნება კეთილგონიერი პირობები ფასეული ინფორმაციების მიღებისათვის.

ამაღლებულ ყურადღებას საჭიროებს და ოპერატიულ მეთვალყურეობას ითხოვს ის პირები, რომლებზედაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან მიღებულია ინფორმაციები, რომლებიც მიუთითებენ მათ ლტოლვას კვლავ ახალი დანაშაულებების ჩადენისაკენ.

დანაშაულის გახსნის მიზნით იმ პირთა წრეში, რომელიც იმყოფება ოპერატიულ პროფილაქტიკური ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდება დაზვერვითი საქმიანობის კომპლექსი, რათა დადგინდეს მათი ცხოვრების გზა, მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. ამასთან ერთად ოპერატიული მეთვალყურეობა ქმნის აუცილებელ წინაპირობას შეირჩეს ტაქტიკა და მიმართულება დაზვერვისა, რადგანაც შესაბამისი კონტიგენტის პირები საკმაოდ შესწავლილია და არსებობს მონაცემები მათი კრიმინალური აქტივობისა, ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემებისა და სამყოფელისა.

დამუშავების პროცესში მიღებული ინფორმაციები. ოპერატიული დამუშავების დროს ინფორმაციის მიღებისთვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, რომელიც უკვე მოპოვებულია პროფილაქტიკური მუშაობის პროცესში. ასეთი ცნობები, ინფორმაციები გამოიყენება შემდეგი მიზნით:

- გამოვავლინოთ ინფორმაციები იმ პირებზე, რომლებიც ადრე დანაშაულს ჩადიოდნენ;

- აგენტურული გზით უზრუნველყოფილი იქნეს განსაკუთრებული კავშირების ოპერატიული დამუშავება;
- ფსიქოლოგიური განსაკუთრებულობის მეშვეობით დამუშავება პირებისა, რომლებიც საერთოდ იმყოფებიან ოპერატიულ ორგანოთა მხედველობის არეში;
- ჩატარდეს ოპერატიული კომბინაციები ოპერატიული დამუშავების მიზნის მისაღწევად*.

როგორც ოპერატიული დამუშავების საქმის წარმოების მოწინავე მეთოდები მოწმობს, წარმატება მიიღწევა მაშინ, როდესაც კარგად ვიცით საინტერსო პირისა და მისი გარემოს ურთიერთობა. ეს მდგომარეობა მიიღწევა იქედან გამომდინარე, თუ რამდენად მჭიდროა კონტაქტი აგენტსა და დასამუშავებელ ობიექტს შორის. ეს პრაქტიკა ყოველ მომენტში იგრძნობა მიღებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ პირებზე, რომლებიც დასამუშავებელ პირებთან იმყოფებიან კონფლიქტურ ურთიერთობაში. ხშირად ასეთი პირებისაგან აგენტები იღებენ უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციებს, მაგრამ საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ემოციური მდგომარეობა პირებისა, რომლებიც ასეთ ცნობებს გადასცემენ აგენტებს, რამეთუ რთული და ემოციური გრძნობები გავლენას ახდენენ ფაქტების ინტერპრეტაციაზე. ასეთი სიტუაციები ადიდებენ შეცდომებსა და აღრმავებენ მტრულ დამოკიდებულებას, განზრახ აზვიადებენ კომპრომეტირებულ მასალებს.

ასეთ პირებთან მუშაობის დროს აგენტმა უნდა შეინარჩუნოს დისტანცია თავის თავსა და ობიექტს შორის, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არც გაეცნოს მას ისე მოხერხდეს საჭირო ცნობების მიღება.

აგენტმა შეიძლება წარმატებით მიიღოს ინფორმაციები მეზობლებისაგან, თანამშრომლებისაგან, იმ პირთაგან ვისთან ურთიერთობითაც სარგებლობს იგი და ენდობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთ პირებს ხშირად აქვთ წვდომა ობიექტის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ათვალისწინებენ საინტერსო ნივთებს, დოკუმენტებს, წერილებს. მაშასადამე, აუცილებელია განისაზღვროს აგენტის როლი უშუალოდ მიიღოს ინფორმაცია ან განახორციელოს ესა თუ ის ოპერატიული მოქმედება (*დედექტური ფოტოგადაღება, დაადოს გარკვეული ნიშანი ობიექტსა და ა.შ.*).

ოპერატიული აღრიცხვის საქმეების შესწავლით და თანამშრომელთა გამოკითხვით ცხადია, რომ აგენტურის გამოყენების ეფექტიანობა არ არის განპირობებული ობიექტთა სიახლოვის ხარისხით. მთავარია ოპერატიული კონტაქტი ობიექტის კავშირებთან და იმ პირებთან, რომლებიც ახლოს იმყოფებიან მასთან.

ინფორმაციები დანაშაულებრივი საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი მიზნებისათვის:

- კონკრეტულად განისაზღვროს დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა და ხელმძღვანელობა;

* ასეთი კომბინაციების ჩასატარებლად არსებით როლს თამაშობს დეტალური გაცნობიერება კონკრეტული მიკროგარემოსი, ავტორიტეტული პირების ცოდნა, მათი სუსტი ადგილების გაშიფვრა და ა.შ.

- ჯგუფის ცალკეული წევრების საქმიანობა და კავშირები;
- ოპერატიული კომბინაციების განხორციელება.

ოპერატიული დამუშავების დროს ინფორმაციის მიღებით პირველ რიგში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ რეზერვი, რომელთაც საფუძვლიანად იციან საქმის ვითარება, რაც გამოიყენება იმ მიზნებისათვის, რომ გამოვლენილი და ათვისებული იქნეს ინფორმაციის წყარო, ე. ი. საიდუმლო ძალები, რომლებიც გაცნობილნი არიან დანაშაულებრივი ქმედების ვითარებაში.

მამასადამე, ოპერატიული დამუშავება აგენტურული გზით, ეს არის გამოკვლევა კავშირების განსაკუთრებულობისა, რომელიც არსებობს დამნაშავე პირთა და ჯგუფთა შორის. ასეთი კომბინაციის ორგანიზების დროს არსებით როლს ასრულებს ვითარების გაცნობის მიღწევა შესაბამის წრეებში ჩანერგვა ავტორიტეტებისა და სხვა დასაქმებული პირებისა, რომლებიც ნებისმიერ დანაშაულებრივ ფუნქციას ასრულებენ.

როგორც ოპერატიული აღრიცხვის საქმეთა წარმოების მოწინავე გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, ხშირად წარმატება მიიღწევა დამნაშავე პირთა კარგი შესწავლით და მოვლენათა თანმიმდევრული განვითარებით, აგენტურის მჭიდრო და დაკვირვებული კონტაქტებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Дворянский А. М., Правовое регулирование оперативно-розыскной деятельности, М., 1996
2. Дубонос Е. С., Основы оперативно-розыскной деятельности. М., 2002
3. Доля Е. А., Использование результатов оперативно-розыскной деятельности в доказываний по уголовным делам. М., 1999
4. Егоров Ю. Н., Морально-этические основы оперативно-розыскной деятельности органов внутренних дел. Иркутск, 2002
5. Ривман Д. В., Сущность, задачи, принципы оперативно-розыскной деятельности органов внутренних дел. М., 2004